



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: ო63.6321180001

თარიღი: 29/06/2021

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის
ო ქ მ ი N 8**

ქ. სამტრედია. 18 ივნისი, 2021 წელი.

2021 წლის 18 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, ბადრი შენგელია, მერაბ ულრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალაიშვილი, ვაჟა სტურუა, **ზაზა ადვიშვილი (ონლაინ ჩართვა)**, კოტე ნაცვლიშვილი, დავით ამალალობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ტარიელ თევზაძე, ილია მჟავია, ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, ვოჩა არველაძე, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავაიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, ავთანდილ თადუმაძე, დავით ნიკოლეიშვილი **(ონლაინ ჩართვა)**, ავთანდილ სტურუა, აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელი, ქეთევან მეფარიშვილი. ბუღალტერი, იზო ზარნაძე.
2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ ბუღალტერი, ავთანდილ შენგელია.
3. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანების“ ბუღალტერი, ნინო რუხაძე.
4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ ხელმძღვანელი, ივანე კილტავა.
5. ა(ა)იპ `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის~ ხელმძღვანელი, პავლე ვაპანაძე. ბუღალტერი, ნანა ხუჭუა.
6. „შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ხელმძღვანელი, ალექსანდრე სტურუა.
7. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის “ ბუღალტერი, ნათია ლომინაიშვილი.

8. ა. (ა) . ი. პ. „სათნობის სახლი“-ს ხელმძღვანელი, მამა შიო. ბუღალტერი, ნათია ასლანიშვილი.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათელა ხაბეიშვილი.

10. ა. (ა) . ი. პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტი, გიორგი მელქაძე.

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

თავმჯდომარემ სხდომის წევრებს აცნობა, რომ სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთო ბატონები: ზაზა ადეიშვილი და დავით ნიკოლეიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 171 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 185 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის~ 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38

183 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

6. „შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2021 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

7. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის “ 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის № 38 176 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

8. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნობის სახლი“-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 188 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

9. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

10. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 62-622116129, 10/06 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, იზრდება სუბსიდია არაფინანსური აქტივის მუხლში, არასაცხოვრებელი შენობების მუხლში თანხა იზრდება 20.80 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ სტურუამ, აკაკი მინაშვილმა, დავით ამაღლობელმა, ნუგზარ ჯამბურია.

ავთანდილ სტურუა - კარგია, რომ აღნიშნულ პროცესში ჩართულია მაჟორიტარი დეპუტატი. შენარჩუნებულია სამუსიკო სკოლის შენობა. კეთდება ღობე, რომელიც გაალამაზებს სამუსიკო სკოლის შენობას და შეიქმნება ერთ-ერთი კეთილმოწყობილი, ლამაზი ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ღონისძიების მოწყობა.

აკაკი მინაშვილმა აღნიშნა - „მივესალმები წარმოდგენილ პროექტს. წინა ცვლილების დროს თანხა 5800 ლარი, ამოვიღეთ პროექტიდან. მიმაჩნია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან იმ თანხით ღობე ვერ გაკეთდებოდა. ესლაკი ნამდვილად კარგი საქმე კეთდება და თანხაც შესაბამისია.

დავით ამაღლობელი - მოგეხსენებათ, რომ რაც გაკეთდა დღემდე ყველაფერი ბატონი ალექსანდრეს და პედაგოგების საკუთარი სახსრებით გაკეთდა. დღევანდელი პროექტი კი საშუალებას იძლევა, რომ სამუსიკო სკოლა მოწყობილი იქნება, შეიღობოს და შეესაბამებოდეს სტანდარტებს.

ნუგზარ ჯამბურია - ჩვენს წინაშე წარსდგა ღვაწლმოსილი, მრავალი თაობის აღმზრდელი დამსახურებული პედაგოგი, რომელმაც აღნიშნა, რომ მშობლებთან ერთად ამ საქმეში ჩვენი უდიდესი ღვაწლია. ძალიან დიდი მადლობა ამ სიტყვებისთვის. დამერწმუნეთ მასწავლებლის ხელი ყველგან არის და ყველგან იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ხვალინდელი დღე ჩვენი მომავალი თაობას ეკუთვნის, მჯერა ახალი სასწავლო წელი კეთილდღობის, სიყვარულის წარმატების წელი იქნება. ვიმედოვნებ არა მარტო თქვენს უბანში, არამედ სამტრედიის მუნიციპალიტეტში ვინც მუსიკალური განათლების კუთხით იქნება დაინტერესებული, დარწმუნებული ვარ თქვენს სკოლაში მობრძანდება და თქვენგან მიიღებს იმ სიკეთეს, მადლს და ცოდნის უზარმაზარ მარაგს, რომელსაც თქვენი პედაგოგიური კოლექტივი ემსახურება. გვექნება კიდევ ერთი ლამაზი ცენტრი სასწავლო პროცესისათვის. ჩვენ ხშირად ვყოფილვართ მიწვეული თვენს დაწესებულებაში ღონისძიებაზე. არ დამავიწყდება იმ ღონისძიების მუსიკალური ჟღერადობა, ესლაც ჩამესმის ყურში. დიდი მადლობა კოლეგებო მხარდაჭერისათვის.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 171 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

მუნიციპალიტეტის მერის N 62-622116133, 10/06 /2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის

მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის" 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდინარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 600 ლარით, საიდანაც 400 ლარი გადაიტანება კომპიუტერული პროგრამის შეძენის და განახლების ხარჯის მუხლში, ხოლო 200 ლარი საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯის მუხლში, საოფისე ავეჯის შესაძენად.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 171 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 62-622116137, 10/06 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანების" 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებულ ხარჯის, თანხა იზრდება 8.8 ათ.ლარით. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის N68/ნ 28/06/2020 წლის ბრძანების საფუძველზე განხორციელდება „აღმზრდელ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინ-მოდული“, რის საფუძველზეც მიენიჭებათ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი. მცირდება არაფინანსურ აქტივში არასაცხოვრებელი შენობების თანხა 5.0 ათ.ლარით, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 9.0 ათ.ლარით. სულ თანხა მცირდება 14.0 ათ.ლარით. შესაბამისად იზრდება თანხა არაფინანსურ აქტივში ავეჯის ხარჯის მუხლში 4.0 ათ.ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურებაში, კერძოდ: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 5.0 ათ.ლარით, კომპიუტერული პროგრამის შეძენისა და განახლების ხარჯის მუხლი 1.0 ათ.ლარი, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლი 3.8 ათ.ლარით, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის მოვლა-შენახვის ხარჯის მუხლი 0.2 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ავთანდილ სტურუამ.

ავთანდილ სტურუა - მინდა ვთხოვო ბალების გაერთიანების ხელმძღვანელობას, რომ პიროვნებებს, რომელთა გადამზადება მოხდება, არ

მოუწიოთ ყოველ დღე ქუთაისში სიარული. ვინაიდან გარკვეულ თანხას ვიხდით, რაღაცნაირად მოიძებნოს საშუალება და ადგილზე ჩატარდეს მათი სწავლება. თორემ იძულებული გავხდებით დამატებით მივცეთ კომპენსაცია გადაადგილებისთვის. თქვენი ა.(ა.)ი.პ არის ყველაზე დიდი ა.(ა.)ი.პ. მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ყოველთვის მქონდა ამის განცდა, აუცილებლად უნდა მოახდინოთ იურიდიული მომსახურების შესყიდვა ან გყავდეთ ძლიერი იურისტი, რათა სამსახურს არ შეექმნას იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით პრობლემები.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 185 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 62-622116128, 10/06 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა.)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“ -ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საკუთარი შემოსავლები იზრდება 5.53 ათ.ლარით, რომელიც მიღებულია ა.(ა.)ი.პ. ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, სასკოლო ფეხბურთის უკეთ განვითარებისა და ხელშეწყობისათვის. შესაბამისად დაიგეგმება ხარჯების ნაწილში 5.33 ათ. ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის მუხლში, ხოლო 0.20 ათ.ლარი სხვადასხვა ხარჯის მუხლში, კერძოდ აუდიტის მომსახურების ხარჯში.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას: ავთანდილ სტურუამ, მანანა სირბილაძემ, ბადრი შენგელიამ.

ავთანდილ სტურუა - მე მაქვს იდეა, რომ სპორტული სკოლის ბაზა გაკეთდეს კულაშის ტექნიკუმის ბაზაზე. საერთოდ კარგი იქნება თუ ამ თემაზე ვიმუშავებთ. დავჯდეთ სპორტსმენებთან ერთად და რაღაც დროში გაიწეროს, მოიძებნოს საშუალება რა და როგორ უნდა გაკეთდეს. მეორე თემაა ხელფასების პრობლემა. ბატონმა ვანომ ორი მოწვევის საკრებულოს წინაშე დააყენა საკითხი სახელფასო ფონდის გაზრდასთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერ-ჯერობით ცვლილება არ არის. ამ მიმართულებით მაქვს ჩემი აზრი. შევქმნათ სამუშაო ჯგუფი თქვენი ხელმძღვანელობით ან მერის ხელმძღვანელობით. მე, როგორც ერთი პიროვნება, როგორც საკრებულოს წევრი, ჩავერთვები ამაში და იქნებ მოვახერხოთ პროცენტულად სახელფასო ფონდის მატება. ეს ვერ მოხერხდება ერთბაშად, მაგრამ სასურველია განხორციელდეს ეტაპობრივად. ვინც გაცილებით მეტ საქმეს აკეთებს უნდა დავინახოთ და მივცეთ შესაბამისი ანაზღაურება.

მანანა სირბილაძე - აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარი იყო ბიუროს სხდომაზე. აქ მარტო სახელფასო კუთხით კი არა სხვა მიმართულებითაც არის სამუშაო. გამოიჩინეთ ინიციატივა და ჩვენ თქვენს გვერდით ვიქნებით.

ბადრი შენგელია - სხვა მუნიციპალიტეტებში მოხდა სპორტული მიმართულების ა.ა.ი.პ.-ების გაერთიანება, როგორც საბავშვო ბაღების შემთხვევაშია. მართალია ეს გამოიწვევს ბუღალტრების და ხელმძღვანელების შემცირებას, მაგრამ საერთო ჯამში მოხდება გადახარისხება კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით და მწვრთნელებს დაენიშნება შესაბამისი ხელფასი. აქ ორიენტირება უნდა იყოს მიმართული ხარისხსა და შედეგზე. ჩვენ ისე უნდა მოვამზადოთ ფეხბურთელები (ძალიან ბევრი სპორტული საფეხბურთო ჯგუფები გვყავს) რომ არ უნდა დაგვჭირდეს ფეხბურთელის ყიდვა სხვა გუნდებიდან.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 185 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 183 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მუნიციპალიტეტის მერის N 62-622116136, 10/06 /2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.ა.ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. სუბსიდიის შემოსავლების გეგმა იზრდება 15.00 ათ.ლარით. კერძოდ, საკვების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 8.50 ათ.ლარით (საკვების ფასის მატების გამო), სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯის მუხლში 3.50 ათ.ლარით (იპოდრომის შესაღობად საჭირო მასალებისათვის). 3.00 ათ.ლარით იზრდება არაფინანსურ აქტივის ხარჯის მუხლი (უნაგირების შესაძენად). თანხა მცირდება სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯში, სპორტული ღონისძიებების მუხლში 0.70 ათ.ლარით და შესაბამისად 0.70 ათ.ლარით იზრდება სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯის მუხლში.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას: აკაკი მინაშვილმა, ავთანდილ სტურუამ.

აკაკი მინაშვილი - ეს საკითხი არაერთხელ დავაყენეთ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიისა და საკრებულოს წინაშე. საქმე ეხება საცხენოსნო სპორტულ კლუბში თანამშრომელთა და მათ შორის ხელმძღვანელის დაბალ ხელფასებს. იქნებ მივაწვდინოთ კოლეგებო ხმა მერს, საფინანსო სამსახურ, რომ გამოსწორდეს ეს საქმე. ყველაფრის მოგვარება შეიძლება თუ იქნება ნება და კეთილი სურვილი.

ავთანდილ სტურუა - ადრეც ავლნიშნე და ეხლაც მინდა გავიმეორო,

სახელმწიფომ დახარჯა გარკვეული რაოდენობის თანხა იპოდრომის შემოღობვითი სამუშაოებისათვის, თუმცა არაჯეროვნად და უხარისხოთ იქნა გაკეთებული ღობე. ან მოიძებნოს ახალი თანხა, ან პასუხი მოვთხოვოთ იმ პიროვნებას ვისი ხელმძღვანელობითაც ეს სამუშაო შესრულდა. ეს სულ მცირე დანაშაულია, ვიანიდან დახარჯულია ბიუჯეტის თანხა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის~ 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 183 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2021 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 62-622116126, 10/06 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტში საფეხბურთო ტრადიციების შესანარჩუნებლად და ადგილობრივი მწვრთნელებისა და ახალგაზრდა ფეხბურთელების ხელშეწყობის მიზნით შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი სამტრედია“-ს ხელმძღვანელობა ითხოვს მწვრთნელების ხელფასების, ინვენტარის და ტრანსპორტით უზრუნველყოფის დაფინანსებას. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N 37 135 25.02.2021 წლის საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი სამტრედია“ -ს წესდებაში. წესდების მუხლი 3-ის თანახმად შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი სამტრედია“-ს მიზნებს და ამოცანებს შეადგენს ბავშვთა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარება. სამტრედიის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს სპორტული კომპლექსი „სამტრედია“ ითხოვს ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გათვალისწინებულ ხარჯებში 280 000 ლარის დამატებას და 2021 წლის სუბსიდიით გათვალისწინებულ ხარჯებში ცვლილებას, კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა იზრდება 62600 ლარით; მივლინება ქვეყნის შიგნით 5000 ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 4000 ლარით; რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლში 70 000 ლარით; საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯების მუხლში 10 000 ლარით; ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის მუხლში

25 000 ლარით; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში 21700 ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 1700 ლარით; სატრანსპორტო საშუალებების ხარჯის მუხლში 80000 ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ სტურუამ, აკაკი მინაშვილმა.

ავთანდილ სტურუა - მინდა დავეთანხმო ბატონ ბადრი შენგელიას იმ საკითხთა მიმართებაში, რომელიც ეხება სპორტული ა.(ა)ი.პ.-ების ერთ კომპლექსში მოქცევას. მისასალმებელია, რომ თვითმმართველობამ გამონახა სახსრები და დააფინანსა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელები და ამ ბავშვებს არ ექნებათ იმის საშიშროება, რომ ქუჩაში აღმოჩნდებიან. ასევე ძალიან კარგია, რომ მოიძებნა თანხები ფორმებისთვის, კვებისთვის მაგრამ აქ არის ერთი 80,0 ათ. ლარიანი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების შეძენას საფეხბურთო საბავშვო კლუბისთვის. ამ ეტაპზე მიმაჩნია, რომ ეს თანხა მიმართული იქნას ხელფასების ელემენტარულ გაზრდისკენ, რათა განცდა მაინც შეგვექმნა იმ ადამიანებისათვის, რომ ვზრდით ხელფასს. ეს არის ჩემი პოზიცია. სხვა კუთხით მხარს ვუჭერ ამ პროექტს.

აკაკი მინაშვილი - დიდი ხანია საუბარი იყო ხელოვნურ საფართან დაკავშირებით-ნოხებზე, რომელიც დახვეული იყო და ფუჭდებოდა, მიეცა მისი გზა და მოინახა ადგილი, სადაც განთავსდება. როგორც ვიცი კეთდება ორი მოედანი, რომელზეც გამოიყენებენ აღნიშნულ ნოხები. ძალიან გამიხარდა ის ფაქტი, რომ ნახალოვკაში შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ნახალოვკა“. იქ არიან მწვრთნელები, რომლებიც წარმატებულ ფეხბურთელებს გაზრდიან.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით, წინააღმდეგი 1- ავთანდილ სტურუა), დამტკიცდა განკარგულება „შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2021 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის “ 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის № 38 176 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 62-622116134, 10/06 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა)ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი“-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მივლინების თანხა (ქვეყნის გარეთ) გაიზარდა 1.3 ათ.ლარით, რომელიც გამოწვეულია საინფორმაციო ცენტრის დირექტორის, სოფიო კირთაძის მივლინებით ესტონეთის რესპუბლიკაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად 10 დღის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში „ადგილობრივი გამჭირვალე თვითმმართველობა“.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის “ 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის

დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის № 38 176 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ”.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 188 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

მუნიციპალიტეტის მერის N 62-622116131, 10/06 /2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, ადგილობრივი ბიუჯეტით გასაწევ ხარჯებიდან შრომის ანაზღაურების მუხლის თანხა მცირდება 0.27 ათ.ლარით, ნაცვლად 0.265 ათ.ლარისა და შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის მუხლის თანხა იზრდება 0.27 ათ.ლარით. საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯებიდან სხვა ხარჯების მუხლში თანხა მცირდება 0.3 ათ.ლარით და შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის მუხლის თანხა იზრდება 0.3 ათ.ლარით

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ნონა გოგისვანიძემ.

ნონა გოგისვანიძე - 2010 წელს დავტოვე სათნოების სახლი, მქონდა 75,0 ათ. ლარი ბიუჯეტი. ვარჩენდი 20 ბინადარს. თქვენ გაქვთ 150,0 ათ. ლარი და მაინტერესებს, სად მიგაქვთა ეს ფული, მაშინ როდესაც არჩენთ 14 ბინადარს.

მამა შიო - ყოველი თანხა, ყოველი თეთრი ხმარდება სათნოების სახლს. ბინადართა მოვლა-პატრონობას, ჭამა-სმას, წამლებს და ზედამხედველობას. ეს არა მარტო ჩემი და ჩემი ოჯახის, არამედ თქვენი შეურაცხყოფაც არის, რომ ასეთი არასწორი შეკითხვა დასვა ქალბატონმა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით, წინააღმდეგი -1, ნონა გოგისვანიძე.), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 188 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულების საფუძველზე სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხა გაიზარდა 145.9 ათ. ლარით. შესაბამისად, გაიზარდოს კოდი 04 02 ზოგადი განათლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების გეგმა - 145.9 ათ. ლარით.

“საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N 2685 განკარგულებაში შეტანილი N885 31/05/2021 ცვლილების მიხედვით სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა გაიზარდა 2,263.5 ათ. ლარით, მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა 2,150.3 ათ. ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 113.2 ათ. ლარით.

შემცირდეს: 472.0 ათ. ლარით

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა (გზები) -12,0 ათ. ლარით.
- **01 01 02 კოდი სამტრედიის მერიის** არაფინანსური აქტივების გეგმა -98,0 ათ. ლარით. .
- **05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა -77,0 ათ. ლარით.
- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის გეგმა -120,0 ათ. ლარით.
- **01 01 02 კოდი სამტრედიის მერიის** არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობების გეგმა -165,0 ათ. ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს 472.0 ათ. ლარით:

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა 121.5 ათ. ლარით (თანადაფინანსება - 113.2 ათ. ლარით. მონიტორინგი - 8.3 ათ. ლარით).
- **02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა -101,0 ათ. ლარით (ვაჟა-ფშაველას სკვერი, პარკის ფანტანი).
- **02 02 01 კოდი ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული გეგმა - 165,0 ათ. ლარით.
- **05 02 01 04 კოდი ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის** არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობების გეგმა - 20,8 ათ. ლარით.
- **02 02 03 კოდი გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის გეგმა - 48,7 ათ. ლარით.
- **05 01 02 01 კოდი ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის** სუბსიდია - 12,0 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 3,0 ათ. ლარით (უნაგირის შექმნა).

ასევე, მოწესრიგდეს:

- **05 01 02 05 კოდი შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"-ს** სუბსიდია - 280,0 ათ.ლარით.
- **04 01 კოდი ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანების**

სუბსიდიის გეგმა 8,8 ათ. ლარით.

- **05 04 კოდი ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის** სუბსიდია 1,3 ათ. ლარით.

მუხლობრივი ცვლილებები:

02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 36,5 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი.

02 02 03 კოდი გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 18,2 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი.

კოდი 04 01 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 10,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სუბსიდიის გეგმა.

აკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა დადგენილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

/დადგენილება თან ერთვის/

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

საქართველო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 10

ქ.სამტრედია 18 ივნისი, 2021 წელი.

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“-ქვეპუნქტის და "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 70-ე მუხლის შესაბამისად, სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა "სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი 21.12.2020 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.120.016358), როგორც შემოსავლების ნაწილში, ასევე ხარჯების ნაწილში, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ცვლილებების შეტანის საკითხი და ადგენს:

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“-ქვეპუნქტის და "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 70-ე მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა "სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი 21.12.2020 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.120.016358), როგორც შემოსავლების ნაწილში, ასევე ხარჯების ნაწილში, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ცვლილებების შეტანის საკითხი და ადგენს:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი

თავი 1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით :

(ათას ლარებში)

	2019 წლის ფაქტი		2020 წლის ფაქტი		2021 წლის გეგმა	
	მათ შორის		მათ შორის		მათ შორის	
	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
დასახელება	სულ		სულ		სულ	

		ბი			ები				
შემოსავლები	19,218.8	7,107.8	12,111.0	21,684.6	8,656.6	13,028.0	20,143.5	6,220.5	13,923.0
გადასახადები	8,892.9	0.0	8,892.9	10,689.2	0.0	10,689.2	11,846.3	0.0	11,846.3
გრანტები	8,007.8	7,107.8	900.0	8,956.6	8,656.6	300.0	6,220.5	6,220.5	0.0
სხვა შემოსავლები	2,318.1	0.0	2,318.1	2,038.8	0.0	2,038.8	2,076.7	0.0	2,076.7
ხარჯები	11,923.1	1,135.8	10,787.3	10,963.5	431.0	10,532.5	13,038.7	547.9	12,490.8
შრომის ანაზღაურება	2,253.1	81.0	2,172.1	2,081.3	81.1	2,000.2	2,389.7	90.0	2,299.7
საქონელი და მომსახურება	1,953.7	754.8	1,198.9	1,406.9	260.7	1,146.2	2,072.6	369.2	1,703.4
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	35.0	0.0	35.0	40.1	0.0	40.1	39.0	0.0	39.0
სუბსიდიები	6,069.0	85.9	5,983.1	5,988.8	83.7	5,905.1	6,914.4	87.1	6,827.3
გრანტები	8.6	0.0	8.6	18.4	0.0	18.4	20.8	0.0	20.8
სოციალური უზრუნველყოფა	1,045.7	0.8	1,044.9	1,125.9	1.5	1,124.4	971.6	0.8	970.8
სხვა ხარჯები	558.0	213.3	344.7	302.1	4.0	298.1	630.6	0.8	629.8
საოპერაციო სალდო	7,295.7	5,972.0	1,323.7	10,721.1	8,225.6	2,495.5	7,104.8	5,672.6	1,432.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,966.4	8,020.8	1,945.6	10,158.7	8,060.8	2,097.9	10,413.7	6,403.4	4,010.3
ზრდა	10,289.1	8,020.8	2,268.3	10,591.2	8,060.8	2,530.4	10,503.7	6,403.4	4,100.3
კლება	322.7	0.0	322.7	432.5	0.0	432.5	90.0	0.0	90.0
მთლიანი სალდო	-2,670.7	-2,048.8	-621.9	562.4	164.8	397.6	-3,308.9	-730.8	-2,578.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2,705.8	-2,048.8	-657.0	492.3	164.8	327.5	-3,379.0	-730.8	-2,648.2
ზრდა	0.0	0.0	0.0	492.3	164.8	327.5	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			492.3	164.8	327.5	0.0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული									

ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	2,705.8	2,048.8	657.0	0.0	0.0	0.0	3,379.0	730.8	2,648.2
ვალუტა და დეპოზიტები	2,705.8	2,048.8	657.0	0.0			3,379.0	730.8	2,648.2
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებები ს ცვლილება	-35.1	0.0	-35.1	-70.1	0.0	-70.1	-70.1	0.0	-70.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	35.1	0.0	35.1	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	35.1	0.0	35.1	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

	2019 წლის ფაქტი		2020 წლის ფაქტი		2021 წლის გეგმა	
	მათ შორის		მათ შორის		მათ შორის	
	სახელ მწიფო ბიუჯე ტის	საკუთა	სახელ მწიფო ბიუჯე ტის ფონდე	საკუთა	სახელ მწიფო ბიუჯე ტის	საკუთა

დასახელება	სულ	ფონდები	რი	სულ	ბიდან	რი	სულ	ფონ	რი
		ბიდან	შემო		გამო	შემო		დე	შემო
		გამო	სავლე		ყოფი	სავლე		ბიდან	სავლე
		ყო	ბი		ლი	ბი		გამო	ბი
		ფილი			ტრან			ყო	
		ტრან			სფერ			ფილი	ტრან
		სფერე			ები			სფერე	
		ბი						ბი	
შემოსულობები	19,541.5	7,107.8	12,433.7	22,117.1	8,656.6	13,460.5	20,233.5	6,220.5	14,013.0
შემოსავლები	19,218.8	7,107.8	12,111.0	21,684.6	8,656.6	13,028.0	20,143.5	6,220.5	13,923.0
არაფინანსური აქტივების კლება	322.7	0.0	322.7	432.5	0.0	432.5	90.0	0.0	90.0
გადასახდელი	22,247.3	9,156.6	13,090.7	21,624.8	8,491.8	13,133.0	23,612.5	6,951.3	16,661.2
სარჯები	11,923.1	1,135.8	10,787.3	10,963.5	431.0	10,532.5	13,038.7	547.9	12,490.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,289.1	8,020.8	2,268.3	10,591.2	8,060.8	2,530.4	10,503.7	6,403.4	4,100.3
ვალდებულებების კლება	35.1	0.0	35.1	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1
ნაშთის ცვლილება	-2705.8	-2048.8	-657.0	492.3	164.8	327.5	-3379.0	-730.8	-2648.2

მუხლი 3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლები **20,143.5** ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით: (ათას ლარებში)

დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელ	მწიფო		სახელ	მწიფო		სახელ	მწიფო
		ბიუჯე	ტის		ბიუჯე	ტის		ბიუჯე	ტის
		ფონდები	რი		ფონდები	რი		ფონდები	რი
		ბიდან	შემო		ბიდან	შემო		ბიდან	შემო
		გამო	სავლე		გამო	სავლე		გამო	სავლე
		ყო	ბი		ყოფი	ბი		ყო	ბი
		ფილი			ლი			ფილი	
		ტრან			ტრან			ფილი	ტრან
		სფერე			სფერ			სფერე	
		ბი			ები			ბი	

შემოსავლები	19,218.8	7,107.8	12,111.0	21,684.6	8,656.6	13,028.0	20,143.5	6,220.5	13,923.0
გადასახადები	4,515.1	0.0	4,515.1	10,689.2	0.0	10,689.2	11,846.3	0.0	11,846.3
გრანტები	8,007.8	7,107.8	900.0	8,956.6	8,656.6	300.0	6,220.5	6,220.5	0.0
სხვა შემოსავლები	2,318.1	0.0	2,318.1	2,038.8	0.0	2,038.8	2,076.7	0.0	2,076.7

მუხლი 4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახადები **11,846.3** ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:
(ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2019 წლის ფაქტი		2020 წლის ფაქტი		2021 წლის გეგმა				
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
გადასახადები	11	8,892.9	0.0	8,892.9	10,689.2	0.0	10,689.2	11,846.3	0.0	11,846.3
დღგ	11411	7,366.1		7,366.1	7,802.5		7,802.5	9,346.3		9,346.3
ქონების გადასახადი	113	1,526.8	0.0	1,526.8	2,886.7	0.0	2,886.7	2,500.0	0.0	2,500.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11311	222.5		222.5	1,375.3		1,375.3	1,582.0		1,582.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11312	42.6		42.6	258.6		258.6	0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11313	27.2	0.0	27.2	27.1	0.0	27.1	10.0	0.0	10.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებუ	113132									

ლ უძრავ ქონებაზე		27.2		27.2	27.1		27.1	10.0		10.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131 14	166.0	0.0	166.0	190.1	0.0	190.1	105.0	0.0	105.0
ფიზიკურ პირებიდან	1131 141	124.5		124.5	171.7		171.7	75.0		75.0
იურიდიულ პირებიდან	1131 142	41.5		41.5	18.4		18.4	30.0		30.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131 15	1,068.5	0.0	1,068.5	1,035.6	0.0	1,035.6	803.0	0.0	803.0
ფიზიკურ პირებიდან	1131 151	51.5		51.5	44.3		44.3	3.0		3.0
იურიდიულ პირებიდან	1131 152	1,017.0		1,017.0	991.3		991.3	800.0		800.0

მუხლი 5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გრანტები **6,220.5 ათ. ლარის** ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	8,007.8	7,107.8	900.0	8,956.6	8,656.6	300.0	6,220.5	6,220.5	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	8,007.8	7,107.8	900.0	8,956.6	8,656.6	300.0	6,220.5	6,220.5	0.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	170.8	170.8	0.0	190.0	190.0	0.0	190.0	190.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების										

განსახორციელებლად		170.8	170.8	0.0	190.0	190.0	0.0	190.0	190.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	7,837.0	6,937.0	900.0	8,766.6	8,466.6	300.0	6,030.5	6,030.5	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		6,160.3	6,160.3		7,401.4	7,401.4		5,370.5	5,370.5	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		660.0	660.0		660.0	660.0		660.0	660.0	0.0
კაპიტალური დანიშნულები ს გრანტები					405.2	405.2				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ძირითად საქმიანობაში შედის საცურაო აუზით, საფეხბურთო მიწის მოედნებით, ცენტრალური საფეხბურთო მოედნითა და სპორტული დარბაზით მომსახურება. მისი მიზანია მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნა მოზარდი თაობების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდაში. ცენტრალური საფეხბურთო მოედანი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების თანახმად უფასოდ ემსახურება საფეხბურთო სპორტულ კლუბს სამტრედიას და სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ემსახურება და უზრუნველყოფს მათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით და მათი ვარჯიშისა და მატჩებისთვის საუკეთესო პირობებით.</p> <p>მისი მიზანია, ბავშვთა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარება, ასაკობრივი საფეხბურთო გუნდების ყოლა, რათა რაც შეიძლება მრავლად ჩაერთოს სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მოსწავლე ახალგაზრდობა. საცურაო აუზი ძირითადად დატვირთულია მაისის თვიდან სექტემბრის თვის ჩათვლით, აქ მაქსიმალურად დაცულია ჰიგიენური პირობები, ცურვის სპეციალისტები და მასაჟისტი ემსახურება სქოლიოზით დაავადებულ მოზარდებს. ცენტრალურ საფეხბურთო მოედანზე მიმდინარეობს საფეხბურთო მატჩები და ტარდება სხვადასხვა საფეხბურთო ღონისძიებები. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობენ მოედნის პირობები აკმაყოფილებდეს, ნებისმიერი ლიგის სტანდარტებს. სპორტულ დარბაზში, ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მაქსიმალური პირობების დაცვით.</p> <p>შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მიზანია, გაიზარდოს საცურაო აუზის მუშაობის ხანგრძლივობა თვეების მოხედვით, შეიქმნას ცურვის შემსწავლელი წრეები, რათა უფრო მეტი ყურედღება მიექცეს ბავშვთა და მოზარდთა ჩართვას სპორტულ ცხოვრებაში. ასევე მაქსიმალურად ვცდილობთ მოწესრიგდეს სპორტული დარბაზის შიდა ტერიტორია.</p>
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 05 01 02 07	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	დაფინანსება ათას ლარში 162,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება "საჭიდაო კლუბი ფალავანი"-ს მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში, აგრეთვე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვების მომზადება, საწრთვინელი პროცესის ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური და საწრთვინელი ბაზის შექმნა, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წაროება.		

პროგრამის დასახელება	კოდი 05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში 1,125.9
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა, სხვადასხვა გასართობი და კულტურული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 05	სახელოვნებო სკოლები	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	-------------------	----------------------------	------------------------

	02 01		528.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შესაბამისი ააიპ		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები: <ul style="list-style-type: none"> · ააიპ დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა · ააიპ N2 სამუსიკო სკოლა; · ააიპ სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა · ააიპ გომის თემის სამუსიკო სკოლა · ააიპ სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა · ააიპ დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა · ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა 		
მოსალოდნელი შედეგი	მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდთა გამოვლენა.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		154.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის ხელფასები მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 235 მოსწავლე.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		61.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N 2 სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		42.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 52 მოსწავლე.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		86.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები სკოლაში ირიცხება 83 მოსწავლე.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 05		61.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 114 მოსწავლე.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 06		53.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 70 მოსწავლე.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 07		67.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია პირობები შეუქმნას სამტრედიაში მოღვაწე მხატვრებს თავიანთი შემოქმედების წარმოსაჩინად. ამავე დროს მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, აზიაროს ხატვის ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, გააღრმავოს ფონდში დღემდე დაცული რამდენიმე ფერწერული ტილოს აღდგენა-რესტავრაციას.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		510.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საქმიანობის სახეა კულტურის სხვა დაწესებულების საქმიანობა, მიზანი - თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობა; სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება; თანამშრომლობა ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემცვენებითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის უზრუნველყოფა.		
	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობის მისაწვდომობის მიზნით		

მოსალოდნელი შედეგი	საქმიანი კავშირების გაფართოება სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, საჯარო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებთან. საზოგადოების ფართო ჩართულობა (მოყვარულის სტატუსით) თეატრალურ, სამუსიკო და ქორეოგრაფიულ დარგში. ურთიერთთანამშრომლობა მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან და მეზობელი მუნიციპალიტეტის ხელოვანებთან. საკლებო მუშაობის გაფართოება სხვადასხვა კულტურულ-შემქმნელობითი ხასიათის ღონისძიებები, შემოქმედებითი ჯგუფების საანგარიშო შემაჯამებელი კონცერტები
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		86.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ აერთიანებს 9 ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება 6689 მკითხველს. იგი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის მიმართულებით. მიზანია მოსახლეობის მომსახურება საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები გამომჩინილ ადამიანებთან და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	დაფინანსებულია საბიბლიოთეკო გაერთიანება და გაზრდილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	შპს " სამტრედიის მაცნე "	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		73.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს " სამტრედიის მაცნე "		
პროგრამის აღწერა და მიზანი	იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს " სამტრედიის მაცნე " მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას.		
მოსალოდნელი შედეგი	გამოცემულია გაზეთი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საინფორმაციო ცენტრი"	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		41.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საინფორმაციო ცენტრი"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.		
მოსალოდნელი შედეგი	განახლებული დიზაინის და ტექნიკურად მოქნილი საიტი; საზოგადოების ინფორმირება საიტის საშუალებით; ახალგაზრდული ჯგუფის წევრების ჟურნალისტური უნარ-ჩვევების გამოუმუშავება თემში ინგლისური ენის გაუმჯობესება; თემში კომპიუტერის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება; საზოგადოებრივ-შემქმნებითი		

	მაღალპოლიტიკური ფორმის ბეჭდვა; საიტზე და სოციალურ ქსელში ვიდეო მასალების განთავსება; სამტრედიაში და მიმდინარე მუნიციპალიტეტებისთვის ბეჭდური მომსახურების შეთავაზება		
პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 05		92.0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 05 01		30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების დაფინანსებას, ახალგაზრდების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით მათ დაფინანსებას, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას;</p> <p>ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული გრანტის მფლობელთა წახალისებას; სხვადასხვა ტიპის სასწავლებლების წარჩინებულ სტუდენტთათვის ფინანსური დახმარების გაწევას. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-დაფინანსებას,</p> <p>შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-დაფინანსებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, ასევე ქვეპროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი ინიციატივებისა და სხვადასხვა პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენას, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საზოგადოებრივ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართვა, მათი ცოდნის დონისა და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება, ახალგაზრდების თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 05 02		62.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ფესტივალებში, გამოფენებში, კონკურსებში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობას, კულტურული პროექტების თანადაფინანსებას, წარმატებული, ღვაწლმოსილი, დამსახურებული		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ადამიანების წახალისება დაჯილდოებას, წარმოჩენას. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღმნიშვნელი საინფორმაციო ნიშნულების დამზადებას, სამტრედიის ლორესანიონაობების ამსახველი ბუკლეტების დამზადებას, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, გასვლითი ტურების ორგანიზებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საგამოყენო სტენდების დამზადებას. მუზეუმის პოპულარიზაციის კუთხით სხვადასხვა აქტივობების გამართვას, მუზეუმის საერთაშორისო დღის აღსანიშნავას, ღონისძიებებში ადგილობრივი საჯარო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, კულტურის ცენტრის, მუსიკალური და სახელოვნებო სკოლების შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აქტიურ ჩართულობას.</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას.</p> <p>კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში შემოქმედებით, თეატრალურ, მუსიკალურ, მხატვრულ და ხელოვნების სხვა დარგების პოპულარიზაციას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებასა და განვითარებას. მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული რესურსის შესახებ, მიმზიდველ განხდის მუნიციპალიტეტს ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის. მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 06		260.0
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.		

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1,441.6** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის ვიზუალიზაცია
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,441.6
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	149.4
06 01 01	ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი	149.4
06 02	სოციალური პროგრამები	1,292.2

06 02 01	ააიპ „სახლი თანადგომა“	172.2
06 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	97.7
06 02 03	დედათა და ბავშვთა დახმარება	209.0
06 02 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები	801.9
06 02 05	დაკრძალვის ხარჯი	7.8
06 02 06	დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით	3.6

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი "ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		149.4

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი "ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"
-----------------------------	---

პროგრამის აღწერა	<p>1. პირველადი ეპიდვლევების განხორციელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, დაავადებების კონტროლის პირველადი ღონისძიებები, ლაბორატორიული სინჯის აღება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა (მ.შ ტუბერკულოზის, შიდსის, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებების „B“, „C“ და სხვა ჰეპატიტების, ვაქცინაციით მართვადი დაავადებების ეპიდემიადამხედველობა, მართვა, პრევენცია და კონტროლის ღონისძიებები.</p> <p>2. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში, მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება, დაზუსტება, ვაქცინათა მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო დაწესებულებებზე, რომლებიც მონაწილეობენ იმუნოზაციის სახელმწიფო პროგრამაში დადგენილი წესის მიხედვით.</p> <p>3. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისთვის „ცენტრიდან“ ტესტებისა და სახარჯი მასალების გაცემა, აგრეთვე, „B“ ჰეპატიტის იმუნიზაციის გაცემა იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამედიცინო მომსახურებას, სტრატეგიული შრატების, ანტირაბიული ვაქცინის და იმუნიზაციის მიღება-განაწილება.</p> <p>4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით, გადამტანების არსებობის და გავრცელების არეალის დადგენა სეზონის განმავლობაში.</p> <p>5. პარაზიტული დაავადებების ეპიდკონტროლი და პროფილაქტიკა.</p> <p>6. საგანმანათლებლო, სააღმწრდელო და საგანმანათლებლო-სააღმწრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> <p>7. „C“ ჰეპატიტის, აივ-ინფექცია, შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა ითვალისწინებს პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების ჩართვას მოსახლეობის მასიური სკრინინგის უზრუნველყოფის მიზნით, დადებითი შემთხვევების კონფირმაციულ კვლევას და მკურნალობაში ჩართვას. 18 წლის ზემო ასაკის ყველა ბენეფიციარის სკრინინგულ კვლევებს, ვინც არ არის დასკრინიული.</p> <p>8. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება, არსებულ საფრთხეებზე რეაგირებისა და მზადყოფნის გაძლიერება მოიცავს< ა). სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ გადამდებ დაავადებებზე ეპიდემიადამხედველობის განხორციელება, დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის დაზუსტება, კორექტირება და შესაბამის ბაზებში (EIDSS, LIMS, LAB.COV) მონაცემთა შეყვანა და ანალიზი. ბ) სამოქმედო ტერიტორიაზე გამოვლენილი გადამდები დაავადებების ეპიდსიტუაციის მონიტორინგი და ანგარიშგება მოქმედი წესების შესაბამისად.</p> <p>9. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მონიტორინგის კონტროლი საჯარო ობიექტებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (კაფე/ბარი, რესტორანი, სასტუმრო, კინო/ თეატრი, სილამაზის სალონი, მედია ორგანიზაცია) , ტრანსპორტში თამბაქოს მოხმარების აკრძალვის მონიტორინგი და სასწავლო , სამედიცინო, საჯარო/ სახელმწიფო დაწესებულებებში თამბაქოს მოხმარების აკრძალვისა და რეგულაციების შესაბამისად.</p> <p>10. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი დარეგისტრირდა COVID -19 ნიმუშის ამღებ დაწესებულებად 14/05/2020 წლიდან , რომელიც დღემდე</p>
------------------	--

	ჩართული არის ახალი კოორნაციონალური გამოწვეული ინფექციის დიაგნოსტიკაში.		
პროგრამის მიზანი	მოსახლეობაში ინფექციური დაავადებების გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მათი ლიკვიდაციის, ელიმინაციისა და კონტროლის გზით. მოსახლეობის სხვადასხვა კონტიგენტის იმუნიზაციით, სხვადასხვა ინფექციის მიმართ იმუნური ფენის შექმნით, ავადობის მინიმუმამდე დაყვანა, მოსახლეობის ვაქცინაციით მაღალი მოცვა და საშიში ინფექციური დაავადებების, ვაქცინაციის გზით თავიდან აცილება. მაღარის კერების ელიმინაცია და მაღარის აფეთქების თავიდან აცილება. ზემოთ აღნიშნული „ც ჰეპატიტის“ ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის მიზანია: 18 წლის ზემო ასაკის მოსახლეობის 90%-ის გამოკვლევა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, „ც ჰეპატიტის“ ელიმინაცია შიდსისა და ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენა და შემდგომი მკურნალობაში ჩართვა.		
პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სახლი "თანადგომა"	
	06 02 01		
			დაფინანსება ათას ლარში 172.2
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სახლი "თანადგომა"		
პროგრამის აღწერა	<ul style="list-style-type: none"> ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარება ააიპ „სახლი თანადგომისათვის“ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დღეს, როდესაც ქვეყანაში მრავლადაა გავრცელებული ოჯახები, მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სხვადასხვა ფორმით მატერიალური დახმარების გაწევა. სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიზიკური შესაძლებლობა, არიან მარტოხელები, დავრდომილები, ინვალიდები, უსახლკაროები, ის პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას და არ გააჩნიათ ეკონომიკური შესაძლებლობა იმისთვის, რომ მთელი თვის განმავლობაში იკვებონ თავისი შემოსავლით, მათთვის ყოველდღიურად (გარდა კვირისა) სადილით უზრუნველყოფა (დღეში ერთხელ) უმწეოთა სასადილოში. ამ კატეგორიის მოქალაქეებზე გაიცემა 2-3 ცალი პური კვირაში ერთხელ. პური გაიცემა სუღადობის. ამ პროგრამის მოქმედებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხვრებ უმწეოთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება საარსებო საშუალებით. აგრეთვე, პროგრამაში ჩართულნი არიან სოციალური მუშაკები, რომლებიც ბინაზე მოქმედებების დაგეგმვას და ღრმად მოხუცებულებს. 		
მოსალოდნელი შედეგი	კვების უზრუნველყოფა მარტოხელა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნობის სახლი"	დაფინანსება ათას ლარში 97.7
	06 02 02		
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნობის სახლი"		
პროგრამის აღწერა	მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში სამჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტართა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში.		
მოსალოდნელი შედეგი	სათნობის სახლში მცხოვრები პირების, ხანდაზმულობისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციარებისათვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაძლიერება		

პროგრამის დასახელება	კოდი	დედათა და ბავშვთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარში 209.0
	06 02 03		
პროგრამის განმახორციელებელი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.		
	ახალშობილთა დახმარება		
	1. ერთჯერად 100 (ასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი და მეორე შვილი.		

პროგრამის აღწერა	<p>2. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 200 (ორასი) ლარის ოდენობით.</p> <p>3. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 250 ლარის ოდენობით.</p> <p>4. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-5 შვილი და მეტი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 400 ლარის ოდენობით.</p> <p>5. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილისა და მეორე და მესამე შვილის შეძენის შემთხვევაში 200 ლარს, მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში 400 ლარს</p> <p>6. ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2020 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული.</p> <p>მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 ან მეტი შვილი 18 წლამდე)</p> <p>ფულადი დახმარება ითვალისწინებს მრავალშვილიან მშობლებისთვის ყოველთვიურ დახმარებას 30 ლარი თითოეულ ბავშვზე).</p>
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოხარულნი იქნებიან მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური პირობების შედარებით გაუმჯობესება; დემოგრაფიული მდგომარეობის შესაძლებლობის ფარგლებში გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	დაფინანსება ათას ლარში 801.9
----------------------	-------------------------	---	--

პროგრამის განმახორციელებელი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
-----------------------------	---

	<p>1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება</p> <p>1.1 მოქალაქეთა სამედიცინო დაფინანსება - მოქალაქე, რომელიც დაავადებულია გულსისხლძარღვთა დაავადებით, ონკოლოგიური დაავადებით, გინეკოლოგიური დაავადებით და ასევე სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებით და საჭიროებს გადაუღებელ ოპერაციას, ქიმიოთერაპიას, კოქსართროზი, გონართროზი, ანევრიზმა, თრომბოფლებიტი და ასევე სხვა დაავადებების ქირურგიული და კონსერვატიული მკურნალობა, სამკურნალო სარეაბილიტაციო პროცედურები; ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმ და ომის ვეტერანები, 1.00 დან-500 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 100 %, 500-1000 ლარის ჩათვლით 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით; ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით; გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000 ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 100 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, არაუმეტეს 500 ლარის, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;</p> <p>1.2. მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება - მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ კვლევას, მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას, PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია) კვლევას. ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმ და ომის ვეტერანები, 1.00 დან -800 ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით; ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით. გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000-ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალურ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 100 დან 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, მაქსიმუმ 300 ლარით 800 ლარის ზემოთ 400 ლარით. დ) PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია)-კვლევა დაფინანსდება 500 ლარით;</p> <p>2. მარტოხელა მშობლების დახმარება - ერთჯერად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სამოქალაქო რეესტრში. ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში მიიღებენ 150 ლარიან დახმარებას, ორი შვილის შემთხვევაში 200 ლარიან დახმარებას, სამი და მეტი შვილის შემთხვევაში 300 ლარიან დახმარებას</p>
--	---

(შვილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 18 წელს)

3. სტუდენტების დახმარება - უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს 500 ლარით გაეწევათ ერთჯერადად; ა) დედ-მამით ობოლი; ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილიანი) ოჯახებიდან; გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

4. უდემამობავშვების დახმარება მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაცვალა მშობლები, ან ბავშვები, რომელთა მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი - უდემამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

5. ასი და მეტი წლის ასაკის უზუცეს დღევრძელთა დახმარება; 1. ერთჯერად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტისა და ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

6. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება; - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 300 (სამასი) ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები.

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები;

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალდაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, სხვა ომის მონაწილეები რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

7. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება; - ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება: ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება გ) მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი უკიდურესად შეჭირვებული ოჯახიდან გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურება. დ) თანხა გაიცემა 250 ლარის ოდენობით

8. ჩენობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება; ჩენობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთადა გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ფინანსური 200- 200 (ორას-ორასი) ლარიანი დახმარება 26 აპრილს

9. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება; ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ჰემოდიალიზზე მყოფი ბენეფიციარების დახმარებას თითოელისათვის 200 ლარი ყოველთვიურად;

10. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტით და აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება. 1. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით; 2. ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით; 3. დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების ერთჯერად ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით. 4. დიაბეტით და აუტიზმით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით. 5. ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, შიპერალანინემია და სხვა იშვიათი დაავადების მქონე ბავშვები (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს აღნიშნული დაავადებით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

11. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერადად დაფინანსებას- 500 ლარით

12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება; 1. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

პროგრამის
აღწერა

უსინათლო, სმენადაქვეითებულ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;
2. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს: ეპილეფსია, გონებრივი ჩამორჩენილობა (დაუზუსტებელი), მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც დაავადებულია ცეროზით-150 ლარის ოდენობით.
3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ფსიქონერვული და შიზოფრენიით დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით;

4. ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს 18 წლამდე 200 ლარის ოდენობით;

5. ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

6. ავთვისებიანი სიმსივნური (III და IV სტადია) დაავადების მქონე მოქალაქეები ერთჯერადად დაფინანსდება 150 ლარით.

13. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; 1. მოქალაქეები, რომლებიც არიან მარტოხელეები, ფსიქიურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაკმარისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუნარობი მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით. 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც დაეწვათ საცხოვრებელი სახლი 2020 წლის დეკემბრის თვეში და არ აუღიათ დახმარება, ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა განესაზღვროთ მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით 500- 2000 ლარის ოდენობით. 3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს (საცხოვრებელი სახლი) 2021 წლისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა განესაზღვროთ მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით, 500-3000 ლარის ოდენობით. 3. სამტრედიის ადმინისტრაციული საზღვრებში მცხოვრები, ოჯახები, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ქვეშ (ენგრვება საცხოვრებელი სახლი, საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოებს ჩაბარებას), უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად, ასევე მოქალაქეებს, რომლებიც არიან ჯანმრთელობის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, დახმარების ოდენობა განესაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით 300-დან 1000 ლარის ჩათვლით

14. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება -ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, გაეწევათ სოციალურად დაუცველი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის წევრებს, რომელთა სარეინტიგო ქულა შეადგენს 0-200000-მდე

15. წითელი ჯვრის თანადაფინანსება სოციალურად იზოლირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების უმწეობის (ხანდაზმულები 60 წლის ზემოთ და ახალგაზრდები 15-27 წლამდე) შემცირებისა და ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი რესურსების გამოყენება მათი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაძლიერების, განვითარების, საკუთარი ღირსებისა და თვითდაჯერებულობის გრძობების ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში.

16. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. დღის ცენტრის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. 2021 წლის განმავლობაში თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტრო ენერჯია, გაზი, წყალი) და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება, ორგანიზაციის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე თანხა ჩაირიცხება მათ ანგარიშზე. თანხა თვეში არაუმეტეს 1 050 ლარისა.

17. სამკერვალო საწარმო „გვირილა“-ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით.

18. სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯები;

19. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები

20. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირის გადასახადი . განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა 100 ლარის ოდენობით.

21. აუტიზმი და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაცია - პროგრამა ითვალისწინებს 2019 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით ქალაქ სამტრედიის რეგისტრირებული და მცხოვრები 2-15 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0-F84.9) ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით;

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ჰემოდიალიზზე

მოსალოდნელი შედეგი	მყოფი პირების სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება, უდემამო ბავშვების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის პირობების გაუმჯობესება
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	დაკრძალვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		7.8
პროგრამის განმახორციელებელი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის თანხა მ.შ. ტრანსფერით 0.8 ათასი ლარი . - ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯი 250 ლარის ოდენობით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		3.6
პროგრამის განმახორციელებელი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 1000 (ათასი) ლარიან ფულად სოციალურ დახმარებას და ასევე 200 ლარიან სასაქონლო ფორმით დახმარებას მიიღებენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები (9 მაისის დღესასწაულზე)		

თავი III

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 18. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

ორგ. კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2019 წლის ფაქტი		2020 წლის ფაქტი		2021 წლის გეგმა			
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
	სულ								
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
		ფილიტრანსფერები	სხვა		ფილიტრანსფერები	სხვა		ფილიტრანსფერები	სხვა

	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	22,247.3	9,156.6	13,090.7	21,624.8	8,491.8	13,133.0	23,612.5	6,951.3	16,661.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1,161.0	9.0	1,152.0	1,158.0	9.0	1,149.0	1,163.0	9.0	1,154.0
	ხარჯები	11,923.1	1,135.8	10,787.3	10,963.5	431.0	10,532.5	13,038.7	547.9	12,490.8
